ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №1245

21 აგვისტო 2017 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „დ“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების საუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2017 წლის 20 ივნისის №5370-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ზოსტან ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	**ფუნქციური ზონები**	**ს/კოდი**	**მდებარეობა / მისამართი**	**ფართობი (კვ.მ.)**
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ს-1	02.05.07.883	ქალაქი რუსთავი, მშენებლთა ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	64
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სზ-3 (საპროექტო)	02.04.05.259	ქალაქი რუსთავი, ქუჩა ყაზბეგის მიმდებარე ტერიტორია	100

დანართი №2

სარგებლობის უფლებით გასაცემიობიექტის დასახელება / დანიშნულება	**ფუნქციური ზონები**	**ს/კოდი**	**მდებარეობა / მისამართი**	**ფართობი (კვ.მ.)**	**სარგებლობის ფორმა**
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტზ-1	02.05.01.394	ქალაქი რუსთავი, ქუჩა მშვიდობა, სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია	200	იჯარა